პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

26 თებერვალი სამშაბათი 1974 წ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 43 (15869)

ფასი 2 კაპ.

ყველაფერი ადამიანისათვის, ყველაფერი ადამიანის კეთილდღეობისათვის!

ამხ. ე. ა. შევარდნაძე აჭარაში

რაგორც ვიცით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **ე. ა. შევარდნაძემ** აჭარის ასს რესპუბლიკას გაუსია ხალხთა მეგობრობის ორდენი, რომლითაც ავტონომიური რესპუბლიკა დაჯილდოვდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 50 წლისთავთან დაკავშირებით, კომუნიზმის მშენებლობაში მოპოვებული წარმატებებისათვის.

აჭარაში ყოფნის დროს ამხ. **ე. ა. შევარდნაძემ** საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის **ა. დ. თბილაიშვილის,** საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის **ო. ვ. მელქაძის** თანხლებით დათვალიერა ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი, გემთსაშენებლო, ელექტრომექანიკური, მანქანათსამშენებლო ქარხნები, ბათუმის სახლვარ ნავსადგური, ეწვია ელექტრომექანიკური ქარხნის ახალი კორპუსების მშენებლობას, № 5 საერთო-სამშენებლო ტრესტის სამრეწველო საწარმოთა კომბინატს, ბათუმის დელფინარიუმის მშენებლობას, ა. დ. თბილაიშვილისა და საქართველოს კომპარტიის ხელვაჩაურის რაიკომის პირველი მდივნის **რ. ვ. სარიშვილის** თანხლებით იყო ხელვაჩაურის რაიონში, გაეცნო სოფელ გონიოს და სხვა კოლმეურნეობებს.

ამხ. შევარდნაძე შეხვდა და ესაუბრა მრეწველობის, მშენებლობის, მომსახურების სფეროს, მეცნიერებისა და კულტურის მუშაკებს, სოფლის მშრომელებს, დიდტერესდა, თუ როგორ ასრულებენ სახელმწიფო გეგმებსა და სოციალისტურ ვალდებულებებს, როგორია პროდუქციის ხარისხი, მრეწველობის, კაპიტალური მშენებლობის. სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივები, მშრომელთა მუშაობისა და ყოფა-ცხოვრების პირობები.

• • •

ბათუმში გამართულ პარტაქტივი, სადაც ბათუმის და სამეურნეო აქტივის თათბირზე საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველის მდივანმა **ა. დ. თბილაიშვილმა,** საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ო. ვ. მელქაძემ,** საქართველოს კომპარტიის ხელვაჩაურის, ქობულეთის, ხულოს, ქედისა და შუახევის რაიკომების პირველმა მდივნებმა **რ. ვ. სარიშვილმა, ე. გ. უნჯაძემ, შ. ი. დავითაძემ, ა. ნ. თავდგირიძემ** და **მ. ი. ხოზრევანიძემ,** აჭარის ასსრ ვაჭრობის მინისტრმა **რ. ხ. ნოყარაძემ,** № 5 საერთო-სამშენებლო ტრესტის მმართველმა **მ. ო. უსტაშვილმა** და სხვებმა ილაპარაკეს იმაზე, თუ როგორ მუშაობენ პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის დეკემბრის პლენუმის დადგინილების განხორციელებისათვის, ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ **ლ. ი. ბრეჟნევის** ვრამოსული დებულებათა, აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი პლენუმებისა და რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის აქტივის თათბირის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა ამხ. **ე. ა. შევარდნაძემ.**

ჩვენ შეეხო აჭარის პრეწველობის, კაპიტალური შენებლობის, სოფლის მეურნეობის, მომსახურების სფეროს, ჯანმრთელობის დაცვის, საკურორტო მშენებლობის, სახალხო განათლების, მეცნიერებისა და კულტურის შემდგომი განვითარების პრობლემებს, აქტივის ყურადღება მიიპყრო ორგანიზაციულ-პარტიულ და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის საკითხებს, ხუთწლედის ოქტომბრის პარტიული ორგანიზაციის ხუთწლედის პირველი სამი წლის მაჩვენებლებით ჩამორჩენოდა დაგეგმილს, დასახა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის გზები.

ამხ. შევარდნაძემ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ეპოქალურ, ჰეშმარიტად ისტორიულ დადგენილებას საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის დაჩქარებული განვითარების შესახებ, რომელიც მიღებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ინიციატივით. ეს დადგინება, აღნიშნა ამხ. შევარდნაძემ, არის რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის მდგომარეობის დიალექტიკური ანალიზის ნაყოფი, ჩვენი ეკონომიკისა და კულტურის სტრატეგიული, მაგისტრალური პრობლემების განსაზღვრის პრობლემებისადმი ნამდვილად ლენინური მეცნიერული მიდგომის მაგალითია არა მარტო მეცხრე ხუთწლედის დარჩენილი ორი წლისათვის, არა მარტო მეათე ხუთწლედისათვის, არამედ ჩვენი განვითარების უახლოესი თვალსაწვდომი პერსპექტივისათვის.

თავისი გაქანებითა და მასშტაბით საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების ხასიათი საუკუნეზე მეტი ხნის ისტორიამ არ იცის სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ამ დადგენილების მსგავსი დოკუმენტი. მაშასადამე, მისი განხორციელება, აღნიშნა ამხ. შევარდნაძემ, გვისახავს ადამიანისათვის ზრუნვის ისეთ შესაძლებლობებს, რომელთა მსგავსი გაქანებითა და მასშტაბით არ ყოფილა ჩვენი რესპუბლიკის ისტორიაში.

ამხ. შევარდნაძემ თავის გამოსვლაში განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო კომუნისტური პარტიის საპროგრამო მოთხოვნის — ყველაფერი ადამიანისათვის, ყველაფერი ადამიანის კეთილდღეობისათვის განხორციელების ეფექტიანობის მაჩვენებლებს.

თათბირმა გამოთქვა მტკიცე რწმენა, რომ ავტონომიური რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოები ყოველ დონეს ინიციატივა მეცხრე ხუთწლედის გეგმების უეთო შესრულებისათვის, რაც მტკიცე საძირკველს შეუქმნის საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის დაჩქარებული განვითარების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების განხორციელებას. (საქინფორმი).

საბჭოთა საქართველოს დღესასწაული

საყვეიმო სალამო დირსშესანიშნავი თარიღის გამო

55 წლის წინათ საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება, დაიგდა ჩვენი სახალხო მეურნეობის და კულტურის აყვავების ბანა, ქვეყნის ბატონ-პატრონი გახდა მშრომელი ხალხი.

არნახულად შეიცვალა საქართველო ამ ისტორიულად მოკლე დროში. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუზოგრომელი ზრუნვის მეობით იგი მეთის რუსეთის ჩამორჩენილი მხარიდან გადაიქცა მოწინავე მრეწველობისა და მაღალშენობიერული სოფლის მეურნეობის რესპუბლიკად. თეჯრის ნაგლინი, ფოლადი და ტრაქტორები, ელმავლები და ბოტომანქანები. ზოსტი ხელსაწყოები და ტრაქტორები. ელექტრონულ-გამოსათვლელი მანქანები — ეს იმ პროდუქციის არასრული ნუსხა, რომლებსაც რესპუბლიკის საწარმოები უშვებენ. ხოლო ჩაის ფოთლის, ციტრუსების და ხილი ფართობით ჩვენი ქვეყნის თარგლის გარეთაც.

ახლა ჭართველი ხალხი ჩვენი მრავალეროვანი საბჭოთა სამშობლოს ჩათვლით ერთად ახორციელებს სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს. მთელ თავის ძალ-ონებს, შემოქმედებით ენერგიას ახმარს მეცხრე ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელი წლის დაბოლოებისა და მომდევნო ხუთწლედის შესრულების მიმართულებით.

25 თებერვალს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის შენობაში გაიმართა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს საზეიმო სხდომა, რომელშიც მონაწილეობდნენ ქალაქის პარტიული, საბჭოთა და ადმინისტრაციული ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების და თბილისის გარნიზონის ჯარის ნაწილების წარმომადგენლები. საზეიმო სხდომა მიეძღვნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების 53 წლისთავს.

სცენის სორმაში საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმის ფონზე ვ. ი. ლენინის პორტრეტია. ოქრისფერად ელვარებს ციფრი „53“.

პრეზიდიუმში ბრაზიულებს იკავებენ ამხანაგები ბ. გ. გილაშვილი, ა. ნ. ინაური, ბ. ვ. მელნიკოვი, ზ. ა. პატარიძე, ე. ა. შევარდნაძე, ა. ნ. ჩორჭინი, გ. ს. ჯოწენიძე, გ. დ. ჯავახიშვილი, შ. ვ. ყარყარაშვილი, ო. ე. ხერჩქნაია, ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები, წარმოების მოწინავენი, საბჭოთა არმიის მოსრულები.

საზეიმო სხდომას დაესწრნენ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული მუშაკები, რომლებიც თბილისში ბრიან ვიზიტით.

საზეიმო სხდომა გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **ბ. თ. ლობჟანიძემ.**

გაისმის სსრ კავშირისა და საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები.

შეკრებილებმა სალაპარაკო პრეზიდიუმში მჭუხარე ტაშით ბირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაოროებით.

მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა **ჭ. ბ. ლომთათიძემ,** თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ზეინკალმა სოციალისტური შრომის გმირმა **ვ. ა. ახათიანმა,** სკკპ წევრმა 1918 წლიდან **ა. დ. გიორგაძემ,** საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა **ხ. ვ. ჭიაურელმა.** თბილისის 26 მაქოლი კომისრის სახელობის მეთაურთა წითელდროშოსანი ომაღლესი საარტილერიო სასწავლებლის კურსანტმა **ვ. ი. ჩუდნოვმა.** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეოთხე კურსის სტუდენტმა **ი. ლ. თევდორაძემ,** პიონერმა **შ. ჯ. ნიშნიანიძემ.**

საზეიმო სხდომა დახურულად ცხადდება. ქალაქ ბაისის სსრ კავშირისა და საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები.

საზეიმო სხდომის მონაწილეთათვის გაიმართა კონცერტი. რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს ხელოვნების ოსტატები.

ჟეჯიჭრეჭა — მილიონთა შემოქმედება

ხუთწლედის განმსაზღვრელი წელი

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება რესპუბლიკის მთელ რიგ საწარმოთა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა თანხმობის შესახებ სოფლისადმი დახმარების შემდგომი გაძლიერებისათვის. რესპუბლიკის იმ საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების წასახალისებლად, რომლებიც წარმატებით ასრულებენ სოფლისათვის დახმარების გაწევის ვალდებულებებს, დაწესდა საქართველოს პროფსაბჭოსა და გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის 10 ყოველწლიური პრემია და საპატიო დიპლომები.

გაზეთის მეორე გვერდზე ვაქვეყნებთ საქართველოს პროფსაბჭოს დადგენილებას და ინიციატორთა ვალდებულებებს.

ერთი წლით ადრე

თბილისის № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისნის“ მკერავი ვენერა ყულტაი საწარმოში ერთ-ერთი პირველი ჩაება მეცხრე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში და დაიწყო მუშაობა დევიზით: ხუთდღიური — ოთხ დღეში!

მოწინავე მკერავი ღირსეულად ასრულებს თავის მოვალეობას. მან დროს მთელი წლით გაუსწრო და ახლა ხუთწლედის დამამთავრებელი წლის თებერვლის ანგარიშში შრომობს.

ვენერა ყულტაი 13 წელია ფაბრიკაში მუშაობს და ამ ხნის მანძილზე პროფესია 15 ახალგაზრდა მუშას შეასწავლა.

ხურათზე: თბილისის № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისნის“ მოწინავე მკერავი ვ. ყულტაი. ჯ. მორგუნოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

უკვი მოსავლისათვის

მხარი დავუჭიროთ ქაზახეთის, ბელორუსიისა და როსტოვის ოლქის მექანიზატორთა თაოსნობას!

თვითეული დღე გვაახლოებს ლოსნობებმა, მექანიზატორებმა გაგაზაფხულს — მიწათმოქმედთა ცხოვრებაში ამ პასუხისგებ დროს. ამ დღეებში მთელ ქვეყანას მოედო სახიხარულო ამბავი ჯაზახეთის სსრ, ბელორუსიის სსრ და როსტოვის ოლქის სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა ინიციატივის შესახებ. რომელიც გამსჭვალულია ხუთწლედის მეოთხე წლის მოსავლისათვის. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ მოწონებული ეს ინიციატივა სოფლის მეშაკნეზატორთა პასუხია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვაზე პარტიისადმი, ხალხთა სახიხადმი, რათა 1974 წელი აღნიშნონ დამკვრელური, თავდადებული შრომით.

ამ ინიციატივას მხურვალედ გამოეხმაურნენ და ერთსულოვნად მოიწონეს საკარეჯის რაიონის მექანიზატორებმა. ყველასათვის ჯასაგები, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს თესვისა და მოსავლის აღების დღეების კონკრეტს. მანქანა-ტრაქტორის პარკის სანიმუშო მდგომარეობას.

წვენი რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ხუთწლედის მეოთხე წლის პირველი დღეებიდანვე დაიბადეთ ბრძოლა მიმდინარეობს უხვი მოსავლისათვის. ეს ვლინდება ფართოდ ჯაზაღებული სოციალისტური შეჯიბრებით, რომელიც კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა, ბრიგადებმა, სარემონტო საბრიგადეთა პროგრესული ავრეკილი მეთოდი. ამ მიზნით შეიქმნა მწყობრიდან გამოსული ტრაქტორების, სათესი მანქანების, კულტივატორები და სხვა ტექნიკა.

გავრცელდა ტრაქტორების შეკეთების პროგრესული ავრეკილი მეთოდი. ამ მიზნით შეიქმნა მწყობრიდან გამოსული სათესი მანქანების და ტრაქტორების ჯგუფები და ლიტალების გადასაცვლელი პუნქტები.

ნაკისრ ვალდებულებებს წარმატებით ასრულებენ ლენინის სახელობის, ხტაროინის სახელობის, „წითელი ოქტომბრის“, სოფლების კაბაბითისა და ჯრასნოკორკის კოლმეურნეობების. მიბოსტნეობა-მოვრეობის საბჭოთა მეურნეობისა და სხვა მეურნეობების მექანიზატორები.

1974 წლის გაზაფხული ჯარს მოგვადგა. სოფლის მშრომელები ყოველ დონეს ხმაობენ, რათა ხელსაწყოს შეხვდნენ ყოველმხრივ მომზადებული. რომ მინდვრის სამუშაოთა დაწყებისთანავე უქმად არ დაკარგონ არც ერთი წუთი, მთელი ძალ-ღონე მოახმარონ სახელმწიფო გეგმების, პირადი ვალდებულებების შესრულებას. საფუძველი ჩაუყარონ უხვ მოსავლს.

ბ. როსტიაშვილი,
„საქსოფლტექნიკის“ საბარეჯოს განყოფილების მმართველი.

გიორგი დიმიტროვის ორდენი ა. ნ. ქოსიგინს

სოფიბ, 25 თებერვალი. (ხაკდეპა). როგორც ბულგარეთის დეპეშთა სააგენტო ატყობინებს, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი დაჯილდოებულ გიორგი დიმიტროვის ორდენით. მას ეს მაღალი ჯილდო მიეკუთვნა დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით და ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის განვითარებასა და განმტკიცებაში, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკასა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს შორის ყოველმხრივი ძმური თანამშრომლობის გაფართოებასა და გაღრმავებაში დიდი დამსახურებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

ადმინისტრაციულ ორგანოთა მუშაობა — დღევანდელობის მოთხოვნათა დონეზე

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა თათბირი, რომელმაც შეაჯამა შედეგები რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და ადმინისტრაციული ორგანოების 1974 წლის იანვრის მუშაობისა სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის, სამართალდარღვევების აღკვეთისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის.

თათბირი გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ა. ჩურკინმა.

თათბირზე მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგემ ა. მანელაშვილმა.

თათბირზე აღინიშნა, რომ პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ადმინისტრაციული ორგანოების მხრივ პროფილაქტიკური მუშაობის ორგანიზაციის დონის ამაღლების შედეგად რესპუბლიკის მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებში, ბევრ სამინისტროსა და უწყებაში ამ ბოლო ხანს განსაკუთრებული ღონისძიებანი, რომლებმაც ეთილნაყოფიერი გავლენა მოახდინეს დისციპლინის განმტკიცებაზე, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის, სამართალდარღვევათა და სამართალდარღვევების გარშემო შეურიგებლობის ატმოსფეროს შექმნისათვის პასუხისმგებლობის ამაღლებაზე.

ბევრი პარტიული კომიტეტი უფრო კონკრეტულად წყვეტს მართლწესრიგის განმტკიცებისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს. განსაკუთრებით აქტიური გახდა ბრძოლა სოციალისტური საკუთრების გაფლანგვისა და დატაცების წინააღმდეგ.

1974 წლის იანვარში დამნაშაეობის და სამართალდარღვევების დონე შემცირდა. 15 ქალაქსა და რაიონში ადრიცხული არ ყოფილა დამნაშავეობისა და მართლწესრიგის დარღვევის არც ერთი შემთხვევა. გაიზარდა აღრიცხულ დანაშაულთა და სამართალდარღვევების გახსნის პროცენტი, მათ შორის განსაკუთრებით სამაში დანაშაულისა. ამ რაიონსა და ქალაქში ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკებმა მიიღეს ინვარიში ადრიცხულ დანაშაულთა ასპროცენტიან გახსნას.

მაგრამ ეს დადებითი ფაქტები ვერ დამაკვეყნებ მიეც რიგ ცალიხოზულ ბრალეულებს და ნაკლოვანებებს რესპუბლიკის ბევრი ქალაქისა და რაიონის პარტიულ, საბჭოთა და ადმინისტრაციულ ორგანოების მუშაობაში.

თათბირზე აღინიშნა, რომ დამნაშავეობისა და სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის დონე კიდევ არ შეესაბამება ამოცანებს, რომლებიც პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინაშე დგას

საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე, რომლის მუშაობაში სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულნიც მონაწილეობდნენ, ხაზგასმით აღინიშნა: სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის, პროდუქტების სიუხვისათვის ბრძოლა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საარსებოდ დიდმნიშვნელოვანი ამოცანა უნდა გახდეს. ამასთან ეს ამოცანა უნდა გადაწყვიტოს არა მარტო ჩვენმა კოლგეურნეგლეხობამ, არამედ აგრეთვე ჩვენმა მუშათა კლასმა, ჩვენმა ინტელიგენციამ, ახალგაზრდობამ, რესპუბლიკის ყველა მშრომელმა.

ჯეჯილჯრეჯა — პილიონთა უეშოქმედება

ხუთწლედის განმსაზღვრელი წელი

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმში

სოფლის აღმავლობას — ყოველმხრივი დახმარება!

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა და გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციამ მიიღეს დადგენილება რესპუბლიკის მთელ რიგ სამრეწველო საწარმოთა და კულტურულ-სავაჭრო დაწესებულებათა თანამშრომლების შესახებ სოფლისადმი დახმარების შემდგომი გაძლიერებისათვის.

ხელმძღვანელობენ რა სკკპ XXIV ყრილობის, ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებებით, საქართველოს მშრომელებმა მეცხრე ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წელი აღნიშნეს დაძაბული შრომით სახალხო მეურნეობის ყველა დარგში და მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს ეკონომიკის განვითარებაში, ხალხის მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონის ამაღლებაში.

მეცხრე ხუთწლედის განმსაზღვრელი წლის პირველ დღეებიდანვე საქართველოს მშრომელებმა დასახეს სოციალისტური შეჯიბრების ახალი მოძრაობა, განსაზღვრეს თავიანთი წვლილი სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმების ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში.

განსაკუთრებით სერიოზული და დიდმნიშვნელოვანი ამოცანები დგას რესპუბლიკის წინაშე სოფლის მეურნეობის შემდგომი განმტკიცებისა და განვითარების დარგში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებში, პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში აღნიშნულია, რომ სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობა საერთო-სახალხო ამოცანაა და მის გადაწყვეტაში უაღრესად აქტიურად უნდა მონაწილეობდეს მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა, ყველა მშრომელი.

ამ დღეებში გამართულმა რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ 1973 წლის სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა მონაწილეობით მოუწოდა მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას, ახალგაზრდობას, რესპუბლიკის ყველა მშრომელს 1974 წელს, **ხუთწლედის განმსაზღვრელ წელს, აქტიური მონაწილეობა მიიღონ სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვისათვის ბრძოლაში, რომ თვითეულმა საწარმომ, ორგანიზაციამ კონკრეტულად განსაზღვროს თავისი ადგილი და შესაძლებლობანი ამ პატრიოტულ საქმეში.**

პარტიის მოწოდებამ — დარაზმული იქნას მთელი ძალები სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის, ფართო გამოხმაურება და მხარდაჭერა ჰპოვა რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა კოლექტივებში.

ამ დღეებში თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალმშენებლო, ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო, № 1 ავტოსარემონტო, რუსთავის ქიმიური ბოჭკოს, ქუთაისის გ. კ. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო და მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნებში, საქართველოს პროფკავშირთა კულტურის სასახლეში, მშრომელებმა ბრწყინვალე გამარჯვებები მოუწოდეს მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას, ახალგაზრდობას, რესპუბლიკის ყველა მშრომელს 1974 წელს, **ხუთწლედის განმსაზღვრელ წელს, აქტიური მონაწილეობა მიიღონ სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვისათვის ბრძოლაში, რომ თვითეულმა საწარმომ, ორგანიზაციამ კონკრეტულად განსაზღვროს თავისი ადგილი და შესაძლებლობანი ამ პატრიოტულ საქმეში.**

პარტიის მოწოდებამ — დარაზმული იქნას მთელი ძალები სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის, ფართო გამოხმაურება და მხარდაჭერა ჰპოვა რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა კოლექტივებში.

რესპუბლიკის იმ საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების წახალისებისათვის, რომლებიც წარმატებით ასრულებენ სოფლისათვის დახმარების გაწევის ვალდებულებებს, დაწესდა პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის 10 წლიური პრემია და საპატიო დიპლომები.

სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლაში სოფლისათვის დახმარების გასაწევად რესპუბლიკის პროფკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციებს მუშაობის კოორდინაციისა და ხელმძღვანელობისათვის საქართველოს პროფსაბჭოსთან შეიქმნა ოპერატიული შტაბი.

სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის, ყოველდღიური მზრუნველობა და დახმარება სოფელს — ახალთა დღეს საერთო-სახალხო, საერთო-სახელმწიფოებრივი ამოცანა.

მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის, პროდუქტების წარმოების გადიდებისა და მეცხოველთა შრომისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით 23-24 მარტს ეწყობა მეცხოველობის ფერმების რესპუბლიკური დათვალიერება. ამასთან დაკავშირებით „კომუნისტის“ ს.კ. კორესპონდენტი ა. თომაძე იყო კახეთის პირეთის ზამთრის საძოვრებზე, სადაც ჩვენი რესპუბლიკის ახალ ათასობით ცხვარი იზამთრებს. დღეს ვებეზღავთ თომაძის კორესპონდენციას კახეთისპირეთში ცხვრის დოლის მომდინარეობისა და ფერმების დათვალიერებისათვის მზადების შესახებ.

ქორაფები. დაღესტნის ასსრ. (ტელეფონით „კომუნისტის“ ს.კ. კორ.). ნოლის თვალუწვდენელ ტრამალებზე, სადაც ყოველწლიურად ზამთრობს ჩვენი რესპუბლიკის ასეულ ათასობით ცხვარი, დადგა ყველაზე საპასუხისმგებლო და დაძაბული პერიოდი. კოლმეურნეობათა ფერმებში დაიწყო დოლი, რომელიც ახლა მასობრივად ჩადგება. საძოვრების ყველა მასივში — ბაჯაგანზე, ბეიზიაჯზე, ქაჯრასზე, ლაპასში, რომლებსაც 314 ათასი ჰექტარი უჭირავს, დღეღამე არ ცხრება ენერგიული შრომა, საკოლმეურნეო ფერმებს ყოველდღიურად ემატება ასობით და ათასობით ბატკანი.

დოლის დაწყებასთან დაკავშირებით გაიზარდა „ტრამალების ვოსხლეობა“. ამჟამად მეცხვარეობა ბინებში, რომლებიც ბატკნებით არის გადატვირთული, მეცხვარეებს ეხმარებიან ახალგაზრდა სპეციალისტები და მეცხვარეობის დასახმარებლად ჩამოსული კოლმეურნეები. სულ დუშეთის, ყაზბეგის, ლენინგორის, თიანეთისა და ჯავის საზოგადოებრივ ფერმებში დასაოცნებით 160 ათასამდე ნერბი. უკვე მიღებულია 18 ათასზე მეტი ბატკანი. ასე რომ გაზაფხულზე, როცა გამარჯვებული მწყემსები საქართველოს მთებისაკენ აიღებენ გზას, უკვე არსებულ ფერმებს შეემატება 160 ათასამდე ბატკანი. ისინი პირველად გაივლიან 500-კილომეტრიან ტრასას და თეთრ მდინარედ მოედება კაჟეთიონის იალაღებს.

დოლი ერთ-ერთმა პირველებმა დაიწყეს ყაზბეგის ფილიალ მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც 10 ათასზე მეტი ნერბი ჰყავთ. როგორც მეურნეობის ხელმძღვანელმა ი. ჩოფიკაშვილმა გვითხრა, საზოგადოებრივი ცხვრის სულადობას უკვე შეემატება 4 ათასზე მეტი ჯანსაღი ბატკანი. დოლი წარმატებით გრძელდება. საამაყო მაჩვენებლებს აღწევენ ის ბრიგადები, რომლებსაც ცნობილი თავრობები ნ. ქავთარაშვილი, ა. წიკოლაური, ო. სუკვაშვილი და დ. ჩქარეული ხელმძღვანელობენ.

ამ ბრიგადებს არ დაუკარგავთ არცერთი ნერბი, არცერთი ბატკანი, საუკეთესოდ კვებავენ პირუტყვს. ყოველდღიურად ცხვრის გამოსაკვებად, გარდა თივისა, 9 ტონამდე კომბინირებულ საკვებს ხარჯავენ. ბრიგადებში დიდი აღფრთოვანებით გაეცნენ საქართველოს მშრომელების სოციალისტურ ვალდებულებებს და თავისი მხრივ პირობა დადეს ყოველ 100 ნერბზე ნაცვლად 85-სა გაზარდონ 90 ბატკანი. გადიდონ ბატკნების მატყლისა და ხორცის წარმოება.

ცხვარმეცხვარის ავ-კარგი

□ კახეთისპირეთში გაჩაღდა დოლი □ გრიბადზე ძლიერნი □ ყოველ 100 ნერბზე — 90 ბატკანი □ კომბინირებული საკვები პატიოსან □ დაბატებით საბიზნა 3 ათასი ტონა საკვები.

გაიაფონ პროდუქცია, ამაღლონ შრომის ნაყოფიერება.

დუშეთის რაიონის გუდამაყრის კოლმეურნეობაში მრავალი მოწინავე მწყემსი ჰყავთ, მაგრამ პირველობას მაინც არავის უთმობენ მშები გოგი და სულეო წილაურები, შიო აფციაური, ილია ჩხენკელი. ისინი წარმატებით ანაღდებენ სოციალისტურ ვალდებულებებს, რომლებიც ყოველ ას ნერბზე 90 ბატკნის მიღებასა და მატყლის წარმოებას გახდის გულისხმობს, კოლმეურნეობაში დასაოცნებელია 12.500 ნერბი. დოლი ნორმალურად მიმდინარეობს...

ფასანაურის კოლმეურნეობაში დოლი იწყება ოქტომბერში. უკვე მიღებულია 1.500-მდე ბატკანი. სულ ახლახან ნაცვლად ათასი ბატკნის ატყვიანებული ცხვრის ფერმაში, სადაც თუშური ვაშლოვანი ცხვარია, ჩაბრუნდა 1.200 ბატკანი. ფერმის ხელმძღვანელი ნ. ბერიძე მწყემსებს ძალას აძლევს და ამხნევებს. მწყემსები მზრუნველობას არ აკლებენ ნამატს. დღემდე არცერთი ბატკანი არ დაუკარგავთ. ჯანსაღი და მეტ ბატკანი მისი მეგობრების გადაწყვეტილი აქვთ ყოველ 100 ნერბზე გაზარდონ 92 ბატკანი. კარგი დოლი აქვთ ჭიორეთის ლენინის ორდენოსან გ. გვრიტიშვილისა და ა. აფციაურის ბრიგადებში.

დოლის საუკეთესო ჩატარებისთვის ყველა პირობაა შექმნილი მაღაროსყარის ვაჟა-ფშაველას სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც 7.800-ზე მეტ ბატკანს ელიან. დოლი უკვე დაიწყო კოლმეურნეობის სახელოვანი ფარის უფროსი მწყემსები ლენინის ორდენის ჯვაელრები ნ. ნარიმანიშვილი, ქ. ვარეშვილი და გ. მეყოშვილი თავს ევლებიან ცხვარ-ბატკანს. მათი მეკვლე პირობა ყოველ 100 ნერბზე შეინარჩუნონ 90 და მეტი ბატკანი.

ნაყოფიერი დოლის სასიხარულო ამბები მოდის სხვა ფერმებიდანაც. წარმატებით შრომობენ ლენინგორელი, თიანეთელი, ჯავლი მწყემსები, ისინი ყველაფერს აკეთებენ, რათა პირი არ შეირცხვინონ.

...ავგერ მესამე დღეა, რაც კახეთისპირეთში გრიგალისებრი ქარი მძვინვარებს. ასეთ ამინდში ძნელია შრომა. მაგრამ სიძნელეებთან ბრძოლებში გაკაჟებული მწყემსები ამას არად დაგიდევენ. მთავარი სადარდებელი ის არის, რომ ავგერ რამდენიმე დღეა. რაც ბევრი ფერმა დღი სიძნელის წინაშე აღმოჩნდა, გათავდა კომბინირებული საკვები. დუშეთის რაიონის ფერმებს მახარაძის პურ-პროდუქტების ბაზიდან არ მიუღიათ 500 ტონამდე კომბინირებული საკვები. კომბინირებული საკვები გაუჭირდათ მლეთის, გუდამაყრის, ხნოს და სხვა კოლმეურნეობებს.

მდგომარეობა სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს. როგორც სქმეში ჩაბრებული ადამიანები გვეუბნებიან, კახეთისპირეთში მყოფი ფერმებისათვის აუცილებელია დამატებით შემოიზიდოს 3 ათასი ტონა კომბინირებული საკვები.

...ჭარი კი არ წყდება არც დღე და არც ღამე. ძნელია ბუნების ჭირვეულობის ატანა, მაგრამ ადამიანებს ეხარიათ ავგრი დოლი და იმის ცოდნა, რომ ჭარი, ადრე თუ გვიან, აუცილებლად სუსხავს, მოახლოებული გაზაფხულის გამოკვლების ნიშანია.

ა. თომაძე.

ბ. გაბუნიას ფოტო.

ინიციატორთა ვალდებულებანი

ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანა

ქარხნის კოლექტივმა წარმატებით შეასრულა მეცხრე ხუთწლედის გადამწყვეტი წლის სოციალისტური ვალდებულებანი. 1973 წელს ქვეყნის სახალხო მეურნეობამ ავტოქარხნისაგან გეგმის გადამეტებით მიიღო ათობით ავტოსაწევარი კაზ-608 და ნახევარმისაბმელი კაზ-717, ასეულ ათასობით მანეთის სათადარიგო ნაწილები, სახალხო მოხმარების ახალი საქონელი და სხვა პროდუქცია.

შარშან ქარხანამ ძნური ხელი გაუწოდა ექვს კოლმეურნეობას, რომლებსაც აღმოუჩინა ტექნიკური დახმარება სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების რემონტის საქმეში.

საწარმოს მშრომელებმა, რომლებიც დიდად აღფრთოვანა საბჭოთა ხალხისადმი, პარტიისადმი ხკპკ ცენტრალური კომიტეტის მიმართვამ, ვალდებულება იკისრეს:

წელს უფრო მეტი დახმარება აღმოუჩინონ წყალტუბოს რაიონის სოფელ გვიმტბის მარჭნის, მაიაკოვსკის რაიონის სოფელ დიმის სვერდლოვის, წყალტუბოს რაიონის სოფელ მაღლაკის რუსთაველის, სამტრედიის რაიონის სოფელ მელაურის სტურუას სახელობის, წულუკიძის რაიონის სოფელ წმთელი ვარსკვლავის კოლმეურნეობებს. დაუმზადონ 5.000 მანეთის ინსტრუმენტები, ამდენივე თანხის სასოფლო-სამეურნეო მანქანათა ნაწილები და კვანძები, აგრეთვე 3.000 მანეთის სათადარიგო ნაწილები სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სარემონტო-საექსპლოატაციო საჭიროებისათვის. აღმოუჩინონ პრაქტიკული დახმარება საზოგადოებრივ მეურნეობებს მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებსა და მოსავლის აღებაში.

მიღებულია საერთო-სახალხო კონფერენციაზე.

ჩვენმა შრომითმა კოლექტივმა შარშან მნიშვნელოვანი ტექნიკური დახმარება გაუწია წულუკიძის რაიონის სოფელ გუბის სტალინის სახელობისა და წყალტუბოს რაიონის სოფელ მაღლაკის ლენინის სახელობის კოლმეურნეობებს. ახლახან საწარმომ გადასინჯა თავისი შესაძლებლობანი და გადაწყვიტა წელს კიდევ უფრო გააძლიეროს ეს დახმარება ორივე კოლმეურნეობისადმი.

ტრაქტორმშენებლები გუბის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას კაპიტალურად შეუკეთებენ ოთხ ტრაქტორს, კულტივატორებს, სიმინდის სათესებს, სათიბ მანქანებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანებს, თავიანთი ძალებით შეაკეთებენ ორ ავტომანქანას, ორ ტრაქტორ „ბელარუსისათვის“. ადგილზე გაგზავნის კომპეტენტურ ბრიგადებს და მექანიზატორებს აღმოუჩენს დახმარებას იარაღ-მანქანების შეკეთების საქმეში; მზრალად მოუხნავს კოლმეურნეობას 50 ჰექტარ მიწას; ქარხნის თვითმოქმედი კოლექტივი წლის ბოლომდე ორჯერ მოაწყობს კონცერტს კოლმეურნეობაში.

სატრაქტორო ქარხნის კოლექტივი დიდი მოცულობის სამუშაოებს შეასრულებს წყალტუბოს რაიონის სოფელ მაღლაკის ჯ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობასაც; სახელდობრ, ამ უკანასკნელს გადასცემს წარმოებაში დაზოგილ 5 ტონა სხვადასხვა ზომის ლითონს; კაპიტალურად შეუკეთებს ორ ტრაქტორს, ბერეთვე სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას; გაუმზადებს და გადასცემს ორ მძიმე ფარცხს ტრაქტორ „ბელარუსისათვის“. ქარხნის თვითმოქმედი კოლექტივი წლის ბოლომდე კონცერტს მართავს მაღლაკის სკოლაში.

მიღებულია საწარმოს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე.

ქუთაისის სატრაქტორო ქარხანა

რემონტებენ კოლმეურნეობის მეჯოგეობის ფერმებს; გადასცემენ წარმოებაში დაზოგილ 10 ტონა ლითონს, ერთ ტონა სხვადასხვა ზომის სამაგრ ჭანჭიკებს და ჰაინჯიკებს, ორ დაზგა-დანადგარს, ერთ ელექტროშესადუღებელ აპარატს, 5 ცალ ჯანგბადის ბალონებს, 10 ლითონის ჯარს (თვითეულს 200 ლიტრის ტევადობისას). 1 ტონა სხვადასხვა სახის სალებავს, ორ მძიმე ფარცხს ტრაქტორ „ბელარუსისათვის“. ადგილზე გაგზავნის კომპეტენტურ ბრიგადებს და მექანიზატორებს დახმარებას იარაღ-მანქანების შეკეთების საქმეში; მზრალად მოუხნავს კოლმეურნეობას 50 ჰექტარ მიწას; ქარხნის თვითმოქმედი კოლექტივი წლის ბოლომდე ორჯერ მოაწყობს კონცერტს კოლმეურნეობაში.

სატრაქტორო ქარხნის კოლექტივი დიდი მოცულობის სამუშაოებს შეასრულებს წყალტუბოს რაიონის სოფელ მაღლაკის ჯ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობასაც; სახელდობრ, ამ უკანასკნელს გადასცემს წარმოებაში დაზოგილ 5 ტონა სხვადასხვა ზომის ლითონს; კაპიტალურად შეუკეთებს ორ ტრაქტორს, ბერეთვე სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას; გაუმზადებს და გადასცემს ორ მძიმე ფარცხს ტრაქტორ „ბელარუსისათვის“. ქარხნის თვითმოქმედი კოლექტივი წლის ბოლომდე ორჯერ მოაწყობს კონცერტს კოლმეურნეობაში.

მიღებულია საწარმოს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე.

საქართველოს პროფკავშირთა კულტურის სასახლე

საქართველოს პროფკავშირთა კულტურის სასახლის მუშაკებმა თავიანთ სარეთო კრებაზე შეიმუშავეს კონკრეტული ღონისძიებანი 1974 წელს სოფლის მშრომელთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და კულტურულ-მასობრივი მუშაობის გასაუმჯობესებლად.

ისინი დახმარებას გაუწევენ დუშეთის რაიონის ანანურის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობას, კასპის რაიონის ოკამის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობას და გორის რაიონის მეჯვრისხევის მეფრინველეობის ფაბრიკას.

როგორი იქნება კონკრეტულად ეს დახმარება?

საბჭოთა მეურნეობებისა და მეფრინველეობის ფაბრიკის კულტურულ დაწესებულებებს გაეწევათ მეთოდური კონსულტაციები და პრაქტიკული დახმარება საკლუბო მუშაობის ახალი ფორმების გამოყენების, კალენდარული და პერსპექტიული გეგმების შედგენის საკითხებზე, მათ უზრუნველყოფენ საჭირო სცენარებით, მოაწყობენ ზონალურ სემინარებს.

საბჭოთა მეურნეობებსა და მეფრინველეობის ფაბრიკაში ჩამოაყალიბებენ სამხატვრალმცოდნეობის, კულტურის საზოგადოებრივ მეცნიერებათა სახალხო უნივერსიტეტებს. გამართავენ ლექციებსა და საუბრების ციკლს, შექმნიან ხუთ ლექტორატს კომუნისტური შრომის სკოლების დასახმარებლად, მოაწყობენ დასვენების საღამოებს, აღმოუჩენენ მატერიალურ-ტექნიკურ დახმარებას მეცხოველეობის ფერმებში მოწყობილ წითელ კუთხეებს.

საქართველოს პროფკავშირთა კულტურის სასახლის კოლექტივი მოუწოდებს რესპუბლიკის პროფკავშირულ საკლუბო დაწესებულებებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის დონის ამაღლებაში.

მიღებულია კულტურის სასახლის მუშაკთა საერთო კრებაზე.

ბ. გაბუნიას ფოტო.

„კომუნისტის“ კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

კუს ნაბიჯით

ამ სათაურით „კომუნისტში“ დაიბეჭდა წერილი, რომელიც შეეხებოდა ტყიბულის „დასავლეთ-2“ შახტის გაუქიანურებულ მშენებლობას.

ამ წერილის გამო № 7 ტრესტის მმართველმა ო. კაკნაძემ რედაქციის აცნობა, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები სინამდვილეს შეეფერება.

აღნიშნული შახტის მშენებლობა დაიწყო 1960 წელს. შახტის მთლიანი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ღირებულება 7.495 ათას მანეთს შეადგენს. 1974 წლის 1 იანვრისათვის შესრულებული იყო 6.616 ათასი მანეთის სამუშაოები, რაც მშენებლობის მთლიანი ღირებულების 82 პროცენტს შეადგენს. სახარჯთაღრიცხვო საერთო თანხებიდან ასათვისებელია 879 ათასი მანეთი, ხოლო გეგმით მიმდინარე წლისათვის გათვალისწინებულია 700 ათასი მანეთის სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოების შესრულება. „დასავლეთ-2“ შახტზე პროექტით გათვალისწინებულია სულ 12.745 გრძივი მეტრი გამონამუშევრებისა და 10.915 კუბური მეტრი სხვადასხვა (მოცულობითი) გვირაბების გაყვანა; 1 იანვრისათვის გაყვანილია 5.630 გრძივი მეტრი გამონამუშევარი და 4.420 კუბური მეტრი სხვადასხვა (მოცულობითი) გვირაბი ე. ი. დარჩენილია 7.115 გრძივი მეტრი გამონამუშევარი და 6.495 კუბური მეტრი სხვადასხვა გვირაბი.

შახტის მშენებლობაზე არსებული ჩამორჩენის მიზეზი იყო ის, რომ აუცილებლად საჭირო გახდა ადრე გაყვანილი სამთო გვირაბების აღდგენა-გადამაგრება, რაც გამოიწვია გეოლოგიური პირობების შეცვლამ და დიდი სამთო წნევების განვითარებამ. ამან ეს სამუალება არ მისცა მშენებლებს გაეგრძელებინათ გვირაბების გაყვანა.

შესრულებული სამუშაოების სამთო გამონამუშევრების გადამაგრების შედეგად სახარჯთაღრიცხვო ღირებულება თითქმის ამოწურულია და დარჩენილი სამუშაოების ფიზიკური მოცულობების შესასრულებლად საჭირო შეიქმნა სახარჯთაღრიცხვო ღირებულების გაზრდა დაახლოებით 5-6 მილიონი მანეთით.

სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის გადათვლა დავალებული აქვს საპროექტო ინსტიტუტ „საქსახშახტპროექტს“, რომელმაც უნდა დაიჩქაროს აღნიშნული დავალების შესრულება. შეადგინოს „შახტის ჩასაბარებელი გასაშვები კომპლექსი“.

ამჟამად ადრე გაყვანილი უკვე სამთო გვირაბების გადამაგრება დამთავრებულია და დაწყებულია ძირითადი გვირაბების გაყვანის სამუშაოები.

შახტ „დასავლეთ-2-ის“ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების გეგმა 1971 წელს შესრულებული იყო 101,9 პროცენტით, ხოლო 1972 და 1973 წლების გეგმის შესრულებლობა გამოწვეული იყო იმით, რომ სამთო გამონამუშევრების გამყვანი ბრიგადები და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი სამუშაოდ გადაყვანილი იყო სახალხო მეურნეობისათვის უაღრესად მნიშვნელოვან ობიექტზე შახტ „აღმოსავლეთ-2-ის“ მშენებლობაზე, სადაც 1972 წელს გეგმით დაგეგმილი 2.500 ათასი მანეთის ნაცვლად შესრულებულ იქნა 3.293 ათასი მანეთის სამუშაოები და 1973 წელს ნაცვლად 450 ათასი მანეთისა შესრულებულ იქნა 2.130 ათასი მანეთის სამუშაოები. (473 პროცენტი). რამაც განაპირობა მეტად მნიშვნელოვანი ობიექტის „აღმოსავლეთ-2-ის“ ხაქსპლოატაციოდ გადაცემა.

№ 7 ტრესტის „საქშახტმშენის“ ხელმძღვანელობის მიერ დასახულ იქნა მთელი რიგი ღონისძიებანი არსებული ჩამორჩენის დასაძლევად, რის შედეგადაც უკანასკნელ თვეებში მშენებლები სისტემატურად ასრულებენ გეგმებს და შექმნილია ყველა პირობა 1974 წლის გეგმის შესახრულებლად.

ჩვენი ახალი ფოსტიდან

□ ჰიათურა. მარგანეტრებტის ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს პროფკავშირულმა ორგანიზაციამ მოაწყო საინტერესო შეხვედრა შრომის ვეტერან მაღაროელებთან. შეხვედრას ესწრებოდნენ მოწინავე მაღაროელთა ოჯახის წევრები, მეზობელი მაღაროების მოწინავე ადამიანები.

მოხსენებით თემაზე — „მუშათა კლასი საბჭოთა საზოგადოების წამყვანი ძალაა“ — გამოვიდა მაღაროს პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე შ. ჩაჩანიძე. სიტყვები წარმოთქვეს ლენინის სახელობის მაღაროს წარჩინებულმა გვირაბგამყვანებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ვ. პაპაძემ, სოციალისტური შრომის გმირმა ვ. ტუქმალაძემ და სხვებმა, სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ ვეტერანებს და მოწვეულ სტუმრებს გადაეცათ საპატიო სიგელები და სამახსოვრო საჩუქრები.

ვ. სამხარაძე.

□ ონი. ამას წინათ გაიმართა მუშსოფლკორთა ზონალური თათბირი. მოხსენებით „მუშსოფლკორთა მოძრაობის 50 წლისთავი და პრესის ამოცანები“ გამოვიდა გაზეთ „განთიადის“ რედაქტორი ამხ. ს. თოდაძე. თათბირზე მონაწილეობა მიიღეს მუშსოფლკორებმა დ. მეტრეველმა, ტ. ბუგიანაშვილმა, ზ. ჩარკვიანმა, ე. ხახიაშვილმა, გ. გუგუშაშვილმა.

ნ. დუმუაძვილი.

□ ქობულეთი. კარგი სახუჭარი მიიღეს სოფელ ხალას მშრომელებმა. სანერგესთან აშენდა ახალი, დიდი ტიპოვანი ხელობის კიდული ხიდი, რომელიც საექსპლოატაციოდ გადაეცა.

ო. კონცელიძე.

წერილები რედაქციას

კომუნისტი

მე-2 გვერდი. სამშაბათი, 26 თებერვალი, 1974 წ.

ამბები • ფაქტები • პრობლემები

მსოფლიო დღეს

მ ე ხ ი კ ო

ამერიკული მონოპოლიების დიქტატის წინააღმდეგ

ბ ო ნ ი

ფეხქვეშ თელავენ კონსტიტუციურ უფლებებს

სპეციალური გამოშვება

თავისუფლება ჩილელ კატრიოტებს!

ჩილელი ხალხის გამორჩენილი შვილის, ჩილეს კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის ლუის კორვალანისა და სხვა ჩილელ პატრიოტთა დასაცავად მძლავრი კამპანია იმართება საფრანგეთის მთელ რიგ ქალაქებში. პარიზის მუშათა კვარტალებში შეწოგათა კედლებზე გამოკრულია პლაკატები ლ. კორვალანის პორტრეტით (სურათზე).

საფრანგეთი

სპეციალური გამოშვება

საკავშირო და უცხოეთის პრესის საკვირველი ინფორმაციები

პრობლემები ღიად დარჩა

მეხიკო, 25 თებერვალი. (საკდესი). აქ დამთავრდა ლათინური ამერიკის და კარიბის აუზის ქვეყნების სავაჭრო საქმეთა მინისტრებისა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თათბირი („ტლატელოლკოს კონფერენცია"), რომელმაც სამ დღეს გასტანა.

თათბირი მიმდინარეობდა უთანხმოებათა და წინააღმდეგობათა ვითარებაში. განსაკუთრებით მწვავე დისკუსია გაიმართა ამერიკის ქვეყნების ურთიერთდახმარების ხელშეკრულების გადასინჯვის საკითხის გარშემო, რადგან იგი არ შეესაბამება დროის სულისკვეთებასა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელებასა და წარმოადგენს „ცივი ომის" გადმონაშთს.

გადაუჭრელი დარჩა პანამელებისათვის პანამის არხის უსწრაფესად დაბრუნების საკითხი, ლათინური ამერიკის ქვეყნებში მრავალეროვნულ მონოპოლიათა ჩარევის პრობლემა, არ გადაუსინჯავთ ამერიკის შეერთებულ შტატებთან ლათინური ამერიკის ქვეყნების ვაჭრობის არათანასწორუფლებიანი პირობები.

თათბირის მონაწილეთა უმრავლესობის პოზიციამ ცხადყო, რომ ლათინური ამერიკის ქვეყნების ხალხს აღარ სურთ იცხოვრონ იმპერიალისტური, უმთავრესად ამერიკული მონოპოლიების დიქტატით. მათ მტკიცედ აჰქონ გადაწყვეტილი სამუდამოდ მოუღონ ბოლო ეკონომიურ დამოკიდებულებას.

თუმცა კუბის საკითხი არ ფიგურირა შეტანილი თათბირის დღის წესრიგში, მის მონაწილეთა უმრავლესობამ გაიღაშქრა ეკონომიური ბოლოების წინააღმდეგ, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები უწევს კუბას, და მხარი დაუჭირა თავისუფლების კუბასთან ურთიერთობის დამყარებას.

რასიზმის მარწუხებში

ლუსაკა, 25 თებერვალი. (საკდესი). გადასახლების ბრძანება მიიღო ფინგოს ტომის 6 ათასმა აფრიკელმა, რომლებიც ერთ-ერთ დაბაში ცხოვრობენ სამხრეთ აფრიკის ქალაქ გრეიამსტაუნის მახლობლად. ამ სამარცხვინო აქტით პრეტორიის რასისტი ხელისუფალნი პრაქტიკულად ამთავრებენ იმ რაიონებიდან აფრიკელთა იძულებით გასახლების პროცესს, რომლებიც „მხოლოდ თეთრკანიანთა ზონადაა" გამოცხადებული.

აპარტეიდის ანუ „რასების ცალ-ცალკე განვითარების" „კანონების" შესაბამისად აფრიკელებს მიერეკებიან მამაპაპისეული მიწებიდან და ასახლებენ მწირ ადგილებში, რომლებიც მნიშვნელოვნად არიან დაშორებული ქვეყნის სასიცოცხლო ცენტრებს და ხშირად სრულიად არ გამოდგებიან საცხოვრებლად.

როგორც პორტ-ელიზაბეტიდან იტყობინებიან, გრეიამსტაუნის ხელისუფალთა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გასახლებული 6 ათასი აფრიკელისათვის ჭერჭერობით არ არის გამოყოფილი საცხოვრებელი ადგილი— არის ყველა საფუძველი ვივარაუდოთ, რომ მათ მოელით იმ რამდენიმე მილიონი აფრიკელის ხვედრი, რომლებიც ეკრეთ წოდებულ „გადასახლებულთა ბანაკებში" იმყოფებიან. ეს ბანაკები კი, არსებითად, თითქმის არ განსხვავდებიან საკონცენტრაციო ბანაკებისაგან.

საბერძნეთის კომპარტიის IX ყრილობის პრეზიდიუმის ცნობა

გაიმართა საბერძნეთის კომუნისტური პარტიის IX ყრილობა. ყრილობაზე წარმოდგენილი იყო პარტიის ყველა ორგანიზაცია და მთელი „ძალები.

ყრილობის დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები:

1. ანგარიში პარტიის 1961 წლის VIII ყრილობის შემდეგ განვლილ პერიოდში ცენტრალური კომიტეტის საქმიანობის შესახებ (მომხსენებელი — ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამს. ჰარილაოს ფლორაკისი).

2. საბერძნეთის კომპარტიის პროგრამა.

3. ცვლილებანი საბერძნეთის კომპარტიის წესდებაში.

4. სხვადასხვა ორგანიზაციული საკითხი.

5. პარტიის ცენტრალური ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები.

1. ყრილობამ მოისმინა და განიხილა ცენტრალური კომიტეტის ანგარიში მისი საქმიანობის, აგრეთვე მთელი პარტიის საქმიანობის შესახებ 1961 წლის VIII ყრილობის პერიოდიდან დღემდე.

IX ყრილობამ, რომელიც შეფასებას აძლევს პარტიის საქმიანობას თორმეტი წლის პერიოდში, ხაზი გაუსვა, რომ მთელი ამ წლების განმავლობაში საბერძნეთის კომუნისტური პარტია იყო მუშათა კლასის, ხალხისა და ერის ინტერესების ერთგული დამცველი, პურისთვის, თავისუფლებისათვის, დემოკრატიისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ხალხის გმირული ბრძოლის ავანგარდი. მან დიდი მსხვერპლი გაიღო ხალხის ბედნიერი მომავლისათვის ბრძოლაში.

ყრილობამ სასარგებლო დასკვნები გამოიტანა როგორც ბრძოლის ანალიზიდან, ისე იმ შეცდომების კრიტიკიდან, რომლებსაც ადგილი ჰქონდა პარტიაში საანგარიშო პერიოდში.

II. ყრილობამ განიხილა საერთაშორისო ვითარების განვითარება და ამ წლების განმავლობაში მომხდარი ცვლილებანი, და ხაზგასმით აღნიშნა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს შემობრუნებას ცივი ომიდან დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობიანი თანაარსებობისკენ, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობაში დაიწყო საბჭოთა კავშირის, სხვა სოციალისტური ქვეყნების და მსოფლიოს მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების მშვიდობის მოყვარე პოლიტიკის მეოხებით.

საერთაშორისო ურთიერთობაში ახალ ძვრებს საფუძვლად უდევს სოციალიზმისა და პროგრესის ძალების შემდგომი განმტკიცება იმპერიალიზმისა და რეაქციის ძალების სახიანოდ. ეს ძვრები კეთილისაყოფიერ გავლენას ახდენენ თავისუფლებისათვის ბერძენი ხალხის ბრძოლაზეც.

ყრილობამ მხარი დაუჭირა დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობის პოლიტიკას, მოუწოდა ბერძენ ხალხს გააძლიეროს ბრძოლა იმისათვის, რომ საბერძნეთი აღარ იყოს ფაშიზმის კერა და ამერიკის იმპერიალიზმის სამხედრო პლაცდარმი, რომ ბალკანეთის ნახევარკუნძული და მთელი ხმელთაშუა ზღვა გადაიქცეს მშვიდობის ზონად.

III. გააანალიზა რა საბერძნეთის საშინაო მდგომარეობა, ყრილობამ აღნიშნა, რომ ხუნტის რეჟიმი არის ადგილობრივი და უცხოეთის, უმთავრესად ამერიკის მონოპოლიების აშკარა სამხედრო-ფაშისტური დიქტატურა.

ხუნტა, რომელმაც ქვეყანა მიაჯაჭვა ამერიკის იმპერიალიზმის სამხედრო ტეტს, აძლიერებს ტერორს და შეტევას მშრომელთა ცხოვრების დონეზე. თანდათან ძლიერდება მუშათა კლასისა და ახალგაზრდობის ანტიდიქტატორული ბრძოლა, ღრმავდება ხუნტის დიქტატურის კრიზისი.

IX ყრილობამ შეიმუშავა მუშათა კლასისა და მთელი ანტიდიქტატორული ძალების უფრო ფართო ერთიანობის, აგრეთვე ხალხისა და არმიის ეროვნობის ხაზი ნეოფაშისტური ტრანსის დამხობისათვის, ამერიკის ბატონობისაგან განთავისუფლების, სახალხო ხელისუფლებისათვის ბრძოლაში. ყრილობამ განსაზღვრა, რომ საბერძნეთის დემოკრატიული და ანტიიმპერიალისტური ეტაპის დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომელიც გაკაფავს სოციალიზმის გზას.

ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ უმთავრესია ამოცანაა ძლიერი პარტიის აშენება, რომელსაც უქნება მტკიცე ორგანიზაციები. ამ პარტიულ ორგანიზაციებს დრმად უნდა ჰქონდეთ ფესვი გადგმული მუშათა კლასში, მშრომელებში და მჭიდროდ უნდა იყვნენ დაკავშირებული მასებთან, პარტიასთან, უნდა შესწევდეთ უნარი სათავეში ჩაუდგნენ ბერძენ ხალხს და გაამარჯვებინონ.

IV. IX ყრილობამ მიიღო პარტიის პროგრამა, რომელშიც აღნიშნულია, რომ საბერძნეთი სოციალიზმს მიაღწევს ერთიანი რევოლუციური პროცესის მსვლელობაში, რომელიც ორი ეტაპისაგან შედგება: დემოკრატიული-ანტიიმპერიალისტური, ანტიმონოპოლისტური ეტაპისა და სოციალისტური ეტაპისაგან. ყრილობამ მიიღო აგრეთვე პარტიის წესდების ცვლილებანი და სხვა გადაწყვეტილებანი.

ყრილობამ მოწოდებით მიმართა ბერძენ ხალხს, მიესალმა პატიმრობაში და გადასახლებულ მებრძოლებს, აგრეთვე ემიგრანტებს. ყრილობამ მიიღო აგრეთვე გადაწყვეტილება შეაგროვონ სახსრები პარტიის ფონდში მისი გადაწყვეტილებების განხორციელებისათვის.

ყრილობამ აირჩია საბერძნეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და ცენტრალური სარევიზიო კომისია.

ყრილობამ გაითვალისწინა პარტიის წინაშე ამს. გროზოს აპოსტოლოსის დიდი დამსახურება, და აირჩია იგი საბერძნეთის კომპარტიის საპატიო თავმჯდომარედ.

V. IX ყრილობა დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა და პარტიისა და ანტიდიქტატორული სახალხო მოძრაობის დიდი წარმატებაა. ყრილობის წარმატებითს მუშაობას, იატაკქვეშეთის მძიმე პირობების მიუხედავად, ბეჭდვა შეუწყო ხელი ფართო ყრილობის წინა დისკუსიამ, კოლექტიურობის გაძლიერებამ მუშაობაში, მოსკოვების დაყენებაში მისწრაფებულობის გაზრდამ და პარტიის აქტივისტებისა და წევრების პასუხისმგებლობის ამაღლებამ.

ყრილობის ყველა გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად, რაც მოწმობს საბერძნეთის კომპარტიის მტკიცე იდეოლოგიურ და პოლიტიკურ ერთიანობას.

* * *

გამართა საბერძნეთის კომპარტიის IX ყრილობაზე არჩეული ცენტრალური კომიტეტის პირველი პლენუმი.

პლენუმმა აირჩია პოლიტბიურო, ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულია ამს. ჰარილაოს ფლორაკისი.

ურუგვაი

სდევნიან მემარცხენე აქტივისტებს



ურუგვაის ხელისუფლება განაგრძობს პროგრესული ელემენტების დევნას. ქვეყნის საგზაო მაგისტრალებზე მორიგეობენ სამხედრო პატრულები, მოწყობილია პოლიციის საკონტროლო პუნქტები. თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრების ბრძანებით აჩერებენ და ჩხრეკენ ყველა ავტომანქანას. „წესრიგის დამცველთა" გაძლიერებული რაზმები ეძებენ მემარცხენე აქტივისტებს. ურუგვაელებს საფრთხე ემუქრებათ ყველგან, სახლში იქნებას თუ ქუჩაში.

სურათზე: ჩხრეკა მონტევიდეოს ერთ-ერთ რაიონში.

საკდესის ფოტო.

25 თებერვალი

ტელეტაიპის ლენტიდან...

კონფერენცია დამთავრდა

□ ადის-აბება, (საკდესი). აქ დამთავრდა ევროპის ეკონომიურ გაერთიანებასთან აფრიკის ქვეყნების მოშავალი ურთიერთობის ხაზობისადმი მიძღვნილი კონფერენცია. კონფერენციაში მონაწილეობდნენ აფრიკის 36 ქვეყნის მინისტრები, აგრეთვე წევრი ოკეანისა და კარიბის ზღვის აუზების 7 განვითარებადი სახელმწიფოს წარმომადგენლები. თავიანთ გამოსვლებში დელეგატებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ შეუწყნარებელი ხასიათისაა განვითარებადს ქვეყნებსა და „ხაერთო ბაზარს" შორის არსებული ანლანდელი ურთიერთობა.

ხელი მოაწერეს კონტრაქტს

□ ბაღდადი, (საკდესი). აქ ხელი მოაწერეს კონტრაქტს ერაყის ნავთობის ეროვნულ კომპანიასა და სრულიად საკავშირო გაერთიანება „მაშინოექსპორტს" შორის. ამ კონტრაქტის თანახმად, პანეკინში ერაყის ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ ნავთობიან რაიონში, ხაბჭოთა სპეციალისტები განახორციელებენ კომპლექსურ სეისმურ ხასუშობებს ნავთობიანი სტრუქტურების გამოვლენებისათვის.

„უნიტას" 50 წლისთავი

რომი, 25 თებერვალი. (საკდესი). დღეს იტალიის კომუნისტებმა, ყველა მშრომელმა დაამთავრეს იტალიის კომუნისტური პარტიის საბრძოლო ბეჭდვითი ორგანოს „უნიტას" 50 წლისთავის დღესასწაულობა. მილანის „პალალიდოს" დარბაზში გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა ამ ღირსშესანიშნავ თარიღს.

სხდომა გახსნა იტალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა, კომპარტიის მილანის ფედერაციის მდივანმა ჯ. ჩერეტემ. გაზეთის მიესალმნენ მილანის მერი ა. ანაზი, იტალიის პრესის ეროვნული ფედერაციისა და იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციის წარმომადგენლები.

მოხსენება გააკეთა იტალიის კომპარტიის პოლიტბიუროს წევრმა „უნიტას" დირექტორმა ალდო ტორტორელამ.

ამერიკის კონგრესში სულ უფრო მეტად გაისმის ხმები კუბასთან ამერიკის შეიარაღებული შტატების ურთიერთობის გადასინჯვის სასარგებლოდ. შარშან, მაგალითად, წარმოდგენილ იქნა ორი კანონპროექტი, რომელთა ავტორებიც მოითხოვდნენ კუბასთან ვაჭრობის აღდგენას. ამ კანონპროექტებს ხელი მოაწერა 30 კონგრესმენმა.

ამ დღეებში ამერიკის დედაქალაქში გარეუბანში მდებარე ჯანმრთელობის ეროვნულ ინსტიტუტში მეცნიერული ინფორმაციის განსაზღვრებლად და კიბოს ხნეულებათა მკურნალობის მეთოდიკის შესასწავლად ჩამოვიდა საბჭოთა ონკოლოგების ჯგუფი.

ეცნობიან პარტიული მუშაობის გამოცდილებას

მუსუშე დღეა საქართველოში იმყოფება უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელ პარტიულ მუშაკთა ჯგუფი უნგრეთის სახალხო არმიის პოლიტიკური სამმართველოს უფროსის შტრენც კარპატის მეთაურობით. ჯგუფის შემადგენლობაში არიან უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნები, საოლქო აღმასკომთა თავმჯდომარეები, პროფკავშირული მოღვაწეები. ისინი ეცნობიან რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის გამოცდილებას სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობის დარგში.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკიდან ჩამოსულ პარტიულ მუშაკებს საუბარი ჰქონდათ საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტში, მეტალურგიულ ქარხნის პარტიულ კომიტეტში, შესვლიან საქართველოს აღკ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანს პ. ხ. ბარდიცს, საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის საზოგადოების რესპუბლიკური განყოფილების გამგეობის წევრებსა და აქტივისტებს, ეწვივნენ ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეს.

25 თებერვალს უნგრელი ამხანაგები მიიღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში. მოხარული ვართ, რომ გვეწვიეთ, თქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ზ. ა. პატარიძემ, რომელიც სტუმრებს მიესალმა. — მიგვაჩნია, რომ ჩვენს რესპუბლიკებს ბევრი რამ აქვთ საერთაშორისო ურთიერთობაში გასაზიარებელი და ურთიერთსასარგებლო.

ამხ. ზ. ა. პატარიძემ უნგრელ მეგობრებს გააცნო საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარება, საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც გაიმართა სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა, მეცხრე ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელი წლის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის, პარტიულ-ორგანიზაციული, პოლიტიკური და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის პრაქტიკა.

ამხ. ფცერენც კარპატიმ ამხანაგების სახელით მადლობა გადაიხადა საყურადღებო საუბრისათვის. ჩვენ შესაძლებლობა გვქონდა, თქვა მან, გავცნობოდით საბჭოთა საქართველოს ცხოვრების სხვადასხვა მხარეს. რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების გამოცდილებას გამოვიყენებთ ჩვენს ყოველდღიურ მუშაობაში.

საუბარში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე შ. ვ. ყარყარაშვილი. საუბარს დაესწრო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საზღვარგარეთთან ურთიერთობის განყოფილების გამგის მოადგილე გ. ბ. ჩურუმიძე.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული მუშაკები ეწვევიან გორსა და ახალციხეს ასს რესპუბლიკას. (საკნინფორმი).

ყველა ხალხთა ინტერესებისათვის

ვაშინგტონი, 25 თებერვალი. (საკდესის კორ.). საბჭოთა და ამერიკელი მედიცინის წარმომადგენლები მთელ რიგ ერთობლივ გამოკვლევებს, რომლებსაც საფუძველი ჩაუყარა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების 1972 წლის შეთანხმებამ მედიცინის მეცნიერებისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში თანამშრომლობის შესახებ.

ამ დღეებში ამერიკის დედაქალაქის გარეუბანში მდებარე ჯანმრთელობის ეროვნულ ინსტიტუტში მეცნიერული ინფორმაციის განსაზღვრებლად და კიბოს ხნეულებათა მკურნალობის მეთოდიკის შესასწავლად ჩამოვიდა საბჭოთა ონკოლოგების ჯგუფი.

გმობენ დისკრიმინაციას

ბონი, 25 თებერვალი. (საკდესი). უკანასკნელ ხანს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში 24 კომუნისტსა და სხვა დემოკრატს უთხრეს უარი სახელმწიფო დაწესებულებებსა და სახუნაოებში მიღებაზე. კერძოდ, შტუტგარტის სკოლაში სამუშაოდ მიღებაზე უარი უთხრეს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის წევრს ხებასტიან ბარტენს, ავგრეთვე ახალგაზრდა პედაგოგს გარალდ შვადერერს, რომელიც გერმანელთა კომპარტიის წევრია.

პოლიტიკური დისკრიმინაციის „საფუძველი" გახდა ყბადაღებული „დადგენილება რადიკალიზმის შესახებ" — ხელისუფალთა ადმინისტრაციული გადაწყვეტილება, რომელიც კომუნისტებსა და სხვა დემოკრატებს უკრძალავს სახელმწიფო დაწესებულებებსა და სასწავლებლებში მუშაობას.

თვითნებობის ამ აქტებს განკრძობისა და გაძლიერების მთავარი წამქეზებელი არიან ქრისტიანულ - დემოკრატიულ კავშირ — ქრისტიანულ — სოციალური კავშირის ირგვლივ დაჯგუფებული მემარჯვენე ძალები.

გერმანელთა კომპარტიის სამხარეო ორგანიზაციამ ბაიენ-ვიურტენბერგში გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც აღნიშნავს, რომ რეაქცია, ცდილობს რა ქვეყანაში შექმნას „ანტიკომუნისტური ისტერიის ატმოსფერო", ისწრაფვის ყოველნაირად დაბრკოლოს გერმანელთა კომპარტიის მზარდი გავლენა მშრომელთა ფართო მასებს შორის.

„ჯერმალული პროფესიებისა" და კონსტიტუციურ უფლებათა ფიზიკურ გათელვის წინააღმდეგ გაერთიანებულ „მსგავს უკანონო მოქმედებას მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე". ამერიკის პრესა ამ სტატიას აფასებს როგორც ამერიკის შეერთებული შტატების იმ ვალდებულების იურიდიულ გაფორმებას, რომ თავი შეიკავოს კუბის საშინაო საქმეებში ჩარევისაგან.

ბაგრამ არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების გაულეველანი წრეები წინანდებურად ისწრაფვიან განახორციელონ გაკოტრებული ანტიკუბური კურსი, წინანდებურად ცდილობენ შეაჩერონ ურთიერთვაგების მზარდი პროცესი კუბასა და ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნებს შორის. სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის წარმომადგენლები, კონგრესმენები, პოლიტიკური მოღვაწეები, პრესის ორგანოები, რომლებიც ლაყბობენ „კუბის საშიშროებაზე", ცდილობენ რადაც უნდა დაუჯდეთ შეინარჩუნონ „სანიტარული კორდონი" თავისუფლების კუნძულის გარშემო. არც თუ უკანასკნელ როლს თამაშობენ ამ სკმეში ემიგრანტი ნაძირალები, ყველა ჯურის პროვოკატორები, რომლებიც მზად არიან „საცოდავი ძღვენის" ფასად ემსახურონ იმპერიალიზმს.

ფიდელ კასტრომ, რომელიც უპასუხებდა კუბის რევოლუციის მტრებს, ყველა იმათ, ვისაც სურს უკუღმა დააბრუნოს ისტორიის ჩარხი, კუბაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის ჩამოსვლისადმი მიძღვნილ მიტინგზე განაცხადა: „ვერც დაღვრილი სისხლი, ვერც ჩაღენილი დანაშაულობანი, ვერც თავდებული ძალა, ვერც უტიფარი სიცრუე, ვერც აურაცხელი მსხვერპლი, ვერც ქედმაღლური კოლონიალიზმი, ვერც ამპარტავანი იმპერიალიზმი წინ ვერ აღუდგება გუშინ დამოუკიდებლობის იდეას, ისევე როგორც დღეს ვერ აღუდგებიან წინ სოციალიზმის იდეას. ხალხში, მასებში — საქმეებში ისხამენ ხორცს სანართლიანი საქმეები, სულ უფრო იგრძნობა სიმართლე, და როცა კუთილმოძიებელი იდეა, კანონიერი სწრაფვა ხალხის ღვიძლი საქმე ხდება, ვერავითარი საზიზღარი ცილისწამება, ვერავითარი სისხლიანი ტირანია, ვერავითარი რეაქციული ფილოსოფია ვერ შეაჩერებს მის ძლევამოსილ სვლას".

რეაქციის საკადრის პასუხად გახმა ფიდელ კასტრის სიტყვები: „...ბლოკადამ ვერ დავვაჩოქა, მაგრამ იგი მარად დარჩება როგორც სამარცხვინო ჭრილობა ლატა შეერთებული შტატების ისტორიაში".

ახლა ამერიკის პრესა კვლავ უბრუნდება კუბის საკითხს. ვინაიდან, როგორც ამერიკელ მშრომელთა გაზეთი „დილი უორლდი" აღნიშნავდა, „ამხ. ბრეჟნევის ვიზიტი კიდევ უფრო უხვად ხაზს კუბის მიმართ ამერიკულ-იმპერიალისტური პოლიტიკის ჩაფუშვას". ამერიკის ცდა ძირი გამოეთხარა ან მოეკპო სოციალისტური სისტემა კუბაში — წარუმატებლად დამთავრდა. დღეს კუბა მტკიცეა, ისე როგორც არასდროს".

გ. გერასიმოვი,
(ახალი ამბების ხაააგენტო).
ნიუ-იორკი.

ამერიკული დიპლომატია

საერთაშორისო თემაზე

ამერიკის შეერთებულ შტატებში „კუბის საკითხისათვის" თვალყურის დევნება ყველაზე მეტად მაიამიდან არის მოსახერხებელი. ეს ქალაქი თავისებური კარიბჭეა ლათინურ ამერიკასა და შეერთებულ შტატებს შუა. აქაურ აეროპორტში ამოწმებენ ვიზებს, პასპორტებსა და ჩემოდნებს, ვრძალავენ კუბური სიგარების გატანას. ქალაქში ყველგან ესპანური გაისმის, ხოლო გაზეთი „მაიამი ჰერალდი" ყველაზე მეტს წერს ლათინური ამერიკის საქმეებზე. ვიდრე ქვეყნის რომელიმე სხვა გაზეთი. აქ დაიბადა მრავალმა კუბელმა, რომლებმაც არ გაიზიარეს ან ვერ გაიგეს კუბის რევოლუცია. აქედან მათ პრეზიდენტ ჯონ კენედის ღოცვა-კურთხევით მოაწყეს წარუმატებელი თავდასხმა პლაია-ხირონზე 1961 წელს. სწორედ აქ იკვნეტნენ შემდეგ სიბრაზისაგან ფრჩხილებს და ახალ გეგმებს აწყობდნენ.

გავიდა წლები, და ბევრი ყოფილი კონტრრევოლუციონერი დახლში ჩადგა, ხაწილმა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დავალების შესრულებას მიჰყო ხელი ან „სამოღვაწეოდ" დანამაულებრივი სამყარო აირჩია. საერთოდ კი მაიამის სამხრეთ-დასავლეთი რაიონის მოსახლეობა, სადაც თავი მოიყარეს ემიგრანტებმა და საიდანაც მათ უკვე დაიწყეს ქალაქის სხვა რაიონებზე „შეტევა", ამერიკის ყოველდღიური პრობლემებით არის დაკავებული: როგორ ირჩინონ თავი და შესაძლებლობისდაგვარად გამდიდრდნენ. კლასობრივი ბოლმა დროდადრო ზედაპირზე ამოხეთქავს ხოლმე. გასული წლის მარტში ბომბი აფეთქდა კუბის შემსწავლელ ნიუ-იორკის ცენტრში, ივლისში — მეორე ბომბი თვით ნიუ-იორკის ცენტრში, შენობაში, სადაც მზადდებოდა გამოფენა კუბაზე. მაგრამ ეს არის იმ მიხრწნილ კონტრრევოლუციონერთა უმწეობის გამოძახილი, რომლებსაც ისღა დარჩენიათ, რომ სამშობლოდან გარიყულებმა მწარედ იდარდონ სიმღერის — „როცა კუბა მივატოვე", — მელოდიის თანხლებით, რომელიც მაიამის ყველა კუთხესეში გაისმის, და რომელიც არანაკლებ პოპულარულია, ვიდრე თავის დროზე „შავი თვალები" რუს ემიგრანტთა შორის. ცხოვრება ჭინ მიდის, ახალგაზრდობა გაამერიკელდა, თავისი საქმე გაუჩნდა და საკუთარ თავზე ფიქრობს. აი, მაგალითად, როგორ ლუნს ცხოვრობს: — მშობლები გუასწავლიდნენ კუბისათვის შავი სათვალით შეგეგვედა. მაგრამ როცა ჩვენ თვითონ დავიწყეთ იქ არსებული მდგომარეობის შესწავლა, დავინახეთ, რომ საქმე არც ისე ყოფილა, როგორც გვხიბლავდნენ, ჩვენ არა ვთქვით თავს ჩვენი მშობლების დიდი ხნის წინანდელი უთანხმოების მონაწილეებად. ჩვენ ანაჩრონიზმად მიგვაჩნია, ის, რომ კუბასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დღემდე გრძელდება „ცივი ომი".

გაზეთ „მაიამი ჰერალდის" მიერ ჩატარებულმა გამოკითხვამ ემიგრანტთა შორის ცხადყო, რომ იზრდება იმ პირთა რიცხვი, ვისაც მიაჩნია, რომ შერიგების დრო დადგა, ხოლო გაზეთი „მაიამი ნიუსი" 8 ათასის ნომერში წერდა: „მაიამში კუბელ ემიგრანტთა შორის სულ უფრო მატულობს განწყობილება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კუბას შორის დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის სასარგებლოდ. ბევრი იმათგანი, ვინც მრავალი წლის მანძილზე წინააღმდეგ გამოდიოდა, ახლა აშკარად უჭერს მხარს".

რაც შეეხება თვით ამერიკელებს, პრაგრესული საზოგადოებრიობა თავდაბეგ დიდი ინტერესით და ყურადღებით მოეკიდა კუბის რევოლუციას. ეს პოზიცია, ყველაზე უკეთ გამოხატა გამორჩენილმა ამერიკელმა სოციოლოგმა, აწ განსვენებულმა რაიტ მილსმა: „მე კუბის რევოლუციის მომხრე ვარ. მე ვიცილავ არა მის გამო, არამედ მისთვის და მასთან ერთად".

მმართველმა წრეებმა კი, როგორც ცნობილია, დაუმორჩილებელი კუნძულის წინააღმდეგ მოაწყეს ეკონომიური და დიპლომატიური ბლოკადა.

გამოუცხადეს ინფორმაციული ბლოკადაც — ამერიკული გაზეთები კრინტს არ ძრავდნენ იმაზე, თუ როგორ მიმდინარეობდა თავისუფლების კუნძულზე ახალი ცხოვრების მშენებლობა. ნანობდნენ კაზინოების გაუქმებას, მაგრამ არაფერს წერდნენ წყინა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციაზე, ანმწორთველობის დაცვის უსაყვედლო სისტემის შექმნაზე, საბოვრებელი ბინების ფართო მშენებლობაზე. სასელმწიფო დეპარტამენტის მოხელეები საზღვარგარეთ მიმავალი ამერიკელი მოქალაქეების პასპორტში არტყამდნენ დამღა-გაფრთხილებას კუბაში გამგზავრების წინააღმდეგ.

მიუხედავად ამისა, ცნობისმოყვარე ამერიკელების სასარგებლოდ. ბევრი იმათგანი, ვინც მრავალი წლის მანძილზე წინააღმდეგ გამოდიოდა, ახლა აშკარად უჭერს მხარს".

რაც შეეხება ოფიც ამერიკელებს, პროგრესული საზოგადოებრიობა თავდაბეგ დიდი ინტერესით და ყურადღებით მოეკიდა კუბის რევოლუციას. ეს პოზიცია, ყველაზე უკეთ გამოხატა გამორჩენილმა ამერიკელმა სოციოლოგმა, აწ განსვენებულმა რაიტ მილსმა: „მე კუბის რევოლუციის მომხრე ვარ. მე ვიცილავ არა მის გამო, არამედ მისთვის და მასთან ერთად".

მმართველმა წრეებმა კი, როგორც ცნობილია, დაუმორჩილებელი კუნძულის წინააღმდეგ მოაწყეს ეკონომიური და დიპლომატიური ბლოკადა.

გამოუცხადეს ინფორმაციული ბლოკადაც — ამერიკული გაზეთები კრინტს არ ძრავდნენ იმაზე, თუ როგორ მიმდინარეობდა თავისუფლების კუნძულზე ახალი ცხოვრების მშენებლობა. ნანობდნენ კაზინოების გაუქმებას, მაგრამ არაფერს წერდნენ წყინა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციაზე, ანმწორთველობის დაცვის უსაყვედლო სისტემის შექმნაზე, საბოვრებელი ბინების ფართო მშენებლობაზე. სასელმწიფო დეპარტამენტის მოხელეები საზღვარგარეთ მიმავალი ამერიკელი მოქალაქეების პასპორტში არტყამდნენ დამღა-გაფრთხილებას კუბაში გამგზავრების წინააღმდეგ.

მიუხედავად ამისა, ცნობისმოყვარე ამერიკელების სასარგებლოდ. ბევრი იმათგანი, ვინც მრავალი წლის მანძილზე წინააღმდეგ გამოდიოდა, ახლა აშკარად უჭერს მხარს".

რაც შეეხება ოფიც ამერიკელებს, პროგრესული საზოგადოებრიობა თავდაბეგ დიდი ინტერესით და ყურადღებით მოეკიდა კუბის რევოლუციას. ეს პოზიცია, ყველაზე უკეთ გამოხატა გამორჩენილმა ამერიკელმა სოციოლოგმა, აწ განსვენებულმა რაიტ მილსმა: „მე კუბის რევოლუციის მომხრე ვარ. მე ვიცილავ არა მის გამო, არამედ მისთვის და მასთან ერთად".

მმართველმა წრეებმა კი, როგორც ცნობილია, დაუმორჩილებელი კუნძულის წინააღმდეგ მოაწყეს ეკონომიური და დიპლომატიური ბლოკადა.

გამოუცხადეს ინფორმაციული ბლოკადაც — ამერიკული გაზეთები კრინტს არ ძრავდნენ იმაზე, თუ როგორ მიმდინარეობდა თავისუფლების კუნძულზე ახალი ცხოვრების მშენებლობა. ნანობდნენ კაზინოების გაუქმებას, მაგრამ არაფერს წერდნენ წყინა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციაზე, ანმწორთველობის დაცვის უსაყვედლო სისტემის შექმნაზე, საბოვრებელი ბინების ფართო მშენებლობაზე. სასელმწიფო დეპარტამენტის მოხელეები საზღვარგარეთ მიმავალი ამერიკელი მოქალაქეების პასპორტში არტყამდნენ დამღა-გაფრთხილებას კუბაში გამგზავრების წინააღმდეგ.

მიუხედავად ამისა, ცნობისმოყვარე ამერიკელების სასარგებლოდ. ბევრი იმათგანი, ვინც მრავალი წლის მანძილზე წინააღმდეგ გამოდიოდა, ახლა აშკარად უჭერს

КОМУНИСТИ НИДЕКС 66443 ТЗ 04172 Інд. дік. 01-ої друкарської бібліотеки, 380008 м.Донецьк-8, вул.Артема, 14.

380008 м.Донецьк-8, вул.Артема 14. Наш кореспондентський пункт—99-03-09, 99-03-03. Відділ зв'язків з громадськістю та преси — 99-12-80, відділ листів — 99-66-10. Відділ промисловості — 99-87-61. Економічний відділ — 93-22-83. Відділ сільського господарства — 99-65-01. Відділ культури — 99-65-16, відділ науки — 93-20-84. Відділ партійного життя — 93-18-70. Відділ листів — 93-16-90 Відділ фотокореспонденції — 93-12-84. Відділ розповсюдження — 93-28-34. Друкарня — 93-22-83 Замовлення до друкарні — 99-65-01.

ДОНЕЦЬКИЙ РОБІТНИК

ГАЗЕТА ЗАСНОВАНА РАДОЮ МІСТА ДОНЕЦЬКА І ОБЛАСНОЮ РАДОЮ НАРОДНИХ ДЕПУТАТІВ

Ударна праця — запорука успіху

Трудовий старт на честь 50-річчя Перемоги

Трудовий старт, який розпочався в області з 1 квітня, на честь 50-річчя Перемоги, набирає обертів. Ударну працю на честь ювілею Перемоги розгорнули колективи багатьох підприємств, будов, сільськогосподарських угідь. Ініціатива трудового старту належить робітникам Донецького заводу феросплавів. Вони першими в області взяли зобов'язання виконати до 9 травня річне завдання.

Ініціатива знайшла широку підтримку. Вже 1 квітня до трудового старту приєдналися колективи 22 підприємств, будов, сільськогосподарських угідь. Серед них — колективи Донецького заводу феросплавів, Донецького металургійного заводу імені 1970 річниці Ленінської газети «Искра», Донецького коксохімічного заводу, Донецького заводу металевих конструкцій, Донецького заводу залізобетонних виробів № 1, Донецького заводу металевих конструкцій № 2, Донецького заводу металевих конструкцій № 3, Донецького заводу металевих конструкцій № 4, Донецького заводу металевих конструкцій № 5, Донецького заводу металевих конструкцій № 6, Донецького заводу металевих конструкцій №